

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“-ს დირექტორის 2015 წლის
2 დეკემბრის #242-გ ბრძანებით შექმნილი კომისიის
სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

ბელა ბაჯელიძე

გიორგი მიღდისელი

გიორგი ხაზარაძე

მოწვევლის სკულპტორი:

აკაკი მამალაძე

კომისიის აპარატის წევრები:

თეიმურაზ ბექაური

ირაკლი გედევანიშვილი

ნიკოლოზ რეხვიაშვილი

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის
წევრი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
ფინანსური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
იურიდიული სამსართველოს უფროსი; კომისიის წევრი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
საზოგადოებასთან, რეგიონებთან და საერთაშორისო
ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
შესყიდვების მენეჯერი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“
ფინანსური სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის“ ფინანსური სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე ლევან უჯმაჯურიძე მივლინებაში
ყოფის გამო.

დღის წესრიგი:

2016 წლის გეგმის ფარგლებში სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-სათვის
ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის მიზნით (კოდი: 79800000; 79820000,) განსახორციელებელი გამარტივებული
ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა-
დამტკიცება.

მოისმინება:

კომისიის კომისიის აპარატის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრის 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით ზემოაღნიშნული შესყიდვისათვის
გათვალისწინებულია 112,000 ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “რ”
ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული შესყიდვის საშუალებად განისაზღვრა ელექტრონული ტენდერი.
„შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანებით
დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული საქონლის ერთგვაროვნების კოდად განისაზღვრა: 79800000.

სატენდერო კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ შესყიდვის სავარაუდო
ღირებულებად ანალოგიური შესყიდვის გათვალისწინებით განისაზღვროს 77,000.00 ლარით.
კომისიის წევრებმა განიხილეს სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები, რის შედეგადაც ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი განცხადება
ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 18 აპრილი 2016 წელი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 77,000.00 ლარი.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ-ს გათვალისწინებით;

შესყიდვის დანაყოფი: 79800000;

კლასიფიკატორის (CPV)კოდი: 79820000;

დამატებითი ინფორმაცია: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა.

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა: იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია.

მოწოდების ვადა: 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპორივად შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე.

შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.


გარანტის ოდენობა: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.

კომისიამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია დაედგინა საკუალიფიკაციო მოთხოვნები.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:


- სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-სათვის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვის მიზნით (კოდი: 79800000; 79820000,) განსახორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 77000.00 ლარით.
- დამტკიცდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადება და თანდართული სატენდერო დოკუმენტაცია კომისიის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადება დადგენილო წესით.

კომისიის წევრები:


ბეჭდა ბაჯელიძე


გიორგი მიღდისელი


გიორგი ხაზარაძე


აკაკი მამალაძე

მოწვეული სპეცილიასტი:


ნიკოლოზ რეხვიაშვილი

სხდომის მდივანი: